კვლევის შედეგად დგინდება, რომ სანოტარო წესით რეგისტრირებული ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი ხელს უწყობს სასამართლოების განტვირთვას, კრედიტორის მოთხოვნის სწრაფ დაკმაყოფილებასა და სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას. ამავე დროს, აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება საჭიროებს შესაბამისი საკანონმდებლო და პროცედურული სტანდარტების შემდგომ დახვეწას.

საკვანძო სიტყვები: ნოტარიუსი, სანოტარო აქტი, პრევენციული მართლმსაჯულება, სააღსრულებო ფურცელი, სააღსრულებო წარმოება

შესავალი

მართლმსაჯულების ეფექტიანი ფუნქციონირება არსებითად დამოკიდებულია ისეთი სააღსრულებო სისტემის არსებობაზე, რომელიც უზრუნველყოფს უფლებათა ადეკვატურ დაცვას და ეფუძნება გამჭვირვალობის, ეფექტიანობის, პროგნოზირებადობისა და პროცესუალური თანმიმდევრულობის პრინციპებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც აღსრულების პროცესი დროულად და მხარეთა ინტერესების სათანადო ბალანსის დაცვით[1] უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ იდეას გამოხატავს პრინციპი ubi jus, ibi remedium – არ არსებობს უფლება, თუ არ არსებობს მისი ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი.[2]

ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების თანაბარზომიერ დაცვას,[3] ვინაიდან სანოტარო აქტი უტყუარი მტკიცებულებითი ძალის მქონე დოკუმენტად მიიჩნევა.[4]

ნოტარიუსის ინსტიტუციური ნეიტრალობა ქმნის წინაპირობას, რომ სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულება აღიქმებოდეს, როგორც სანდო და აღსრულებადი სამართლებრივი ინსტრუმენტი.[5] შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი სანოტარო აქტს აქცევს არა მხოლოდ მტკიცებულებით, არამედ უშუალოდ აღსრულებად სამართლებრივ ინსტრუმენტად.[6]

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და უცხოურ იურიდიულ დოქტრინაში ნოტარიატის ინსტიტუციური ფუნქცია და სანოტარო აქტის მტკიცებულებითი ძალა არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ბუნება, მისი კავშირი პროცესუალურ გარანტიებთან და პრევენციულ მართლმსაჯულებასთან ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციური დანიშნულების შეფასებას თანამედროვე აღსრულების მექანიზმების კონტექსტში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება დოქტ-

---

1 ქურდაძე, შ., ქურდაძე, გ., ხუნაშვილი, ნ., ჭყონია, ზ. (2018). *„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი*, ნაწილი I (მუხლები 1–48), თბ., 7; იხ., პუნქტი 16, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №(13), 19/11/2010 <https://rm.coe.int/-ccje-13-2010-/168074824c>.

2 ციტ. Taliashvili, T., Shamatava, I., *Recent Evolution of Intellectual Property Enforcement in Georgia*, *TalTech Journal of European Studies*, 10(2), 2020, 43 <https://doi.org/10.1515/bjes-2020-0014>.

3 შამათავა, ი. (2024). სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია, როგორც ეფექტური გადახდევინებისა და ვადამოსულ მოთხოვნათა გამარტივებული წესით აღსრულების მექანიზმი. *თანამედროვე სამართლის ჟურნალი / Contemporary Law Journal*, 1, 14–28. იხ. Dharmawan, N. K. S., Salain, M. S. P. D., Prianatha, I. G. N. B. P. (2025). Harmonization of notary honorarium arrangement related to the notarial deed authority: Toward legal certainty. *Law and World*, 11(1), 22–34 <https://doi.org/10.36475/11.1.2>.

4 *სანოტარო აქტის არსებობა მიზნად ისახავს მხარეთათვის სამართლებრივი სიცხადისა და გარანტიების უზრუნველყოფას, აგრეთვე მოქმედ სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული საუკეთესო და ყველაზე დამაჯერებელი მტკიცებულების შექმნას.* იხ., Plamesti, M. R., Abustan, A., Miskiah, S. (2025). Strength of proof of notarial deeds in an agreement. In *Proceedings of the 2nd International Conference Changing of Business Law (ICOCLB 2024)* (p. 256). Atlantis Press <https://doi.org/10.2991/978-2-38476-356-6_30>.

5 შეად. Knieper, R. (2017). *The economic relevance of notarial authentic instruments*. International Union of Notaries, 11: *ნოტარიატის სისტემა ხშირად ხდება გაერთიანებული სამეფოს მეცნიერებისა და პოლიტიკოსების კრიტიკის საგანი, რადგან ინგლისელებისთვის ყველაზე უჩვეულოდ სწორედ ის მიიჩნევა, რომ ერთი ნოტარიუსი ორივე მხარის ინტერესებისთვის მოქმედებს... ნაცვლად იმისა, რომ სათანადოდ იქნეს გააზრებული ნოტარიუსის სპეციფიკური ფუნქციები და მისი საჯარო-სამართლებრივი სტატუსი, რომლის ფარგლებშიც იგი ორივე მხარის ინტერესების დაცვას ხარჯთეფექტიანად უზრუნველყოფს, გამოითქმის მოსაზრება ნოტარიატის შეზღუდვის შესახებ.*

6 Gogoladze, M., Shamatava, I. (2026). The evolution of the Georgian notariat: From the state-controlled Soviet system to professional independence and digital modernization. *European Scientific Journal, 52*, 495–514.

რინულ, ნორმატიულ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებს. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ბუნებისა და ფუნქციური დანიშნულების შესაფასებლად გაანალიზებულია შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, სასამართლო პრაქტიკა და სამეცნიერო ლიტერატურა. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სისტემური და ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის მეთოდები, ხოლო შედარებითი ანალიზი განხორციელებულია კონტინენტური ევროპის ცალკეული სამართლებრივი სისტემების გამოცდილების გათვალისწინებით.

1. ნოტარიუსის ინსტიტუციური როლი და მიუკერძოებლობის პრინციპი

ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია გამომდინარეობს ნოტარიუსის მიუკერძოებლობის პრინციპიდან, რომლის საფუძველზეც იგი მოქმედებს როგორც მხარეთა და არა რომელიმე მხარის ნდობით აღჭურვილი პირი. ნოტარიუსი, განსხვავებით ადვოკატისგან, რომელიც თავისი პროფესიული ბუნებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მხარის ინტერესების წარმომადგენელია,[7] ახდენს კონტრაქტის სამართლებრივ სისწორესა და მხარეთა ინტერესების დაბალანსებას.

ნოტარიუსის ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სანოტარო აქტის შედგენითა და დადასტურებით; იგი ასევე ხელს უწყობს დავების პრევენციას.[8] დოქტრინაში ნოტარიუსი განიხილება, როგორც „კერძო მოსამართლის“ როლის მქონე სუბიექტი, ხოლო მისი საქმიანობა შეფასებულია, როგორც „ვალდებულებათა რეგულირების“ ინსტრუმენტი.[9] ამ კონტექსტში, ნოტარიუსის მიუკერძოებლობა უფრო მეტად უკავშირდება წონასწორობის პრინციპს, რაც განაპირობებს მის ვალდებულებას, მიიღოს დაბალანსებული გადაწყვეტილება და უზრუნველყოს მხარეთა ინტერესების თანაბარი დაცვა. ნოტარიუსის საქმიანობის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი გარანტიებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის სასყიდლიანი ხასიათი, რაც გამორიცხავს ერთ მხარეზე დამოკიდებულებას. სწორედ ამიტომ, ნოტარიატის მოდელი მნიშვნელოვანია იურისტის როლის ხელახალი გააზრების თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით მრავალკლიენტიანი წარმომადგენლობის სფეროში.[10]

2. ნოტარიატი კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებსა და ლათინურ ნოტარიატში

ევროპული ნოტარიატის ტრადიციული გაგება ტერმინ „notarius“-ის ისტორიულ და ფუნქციურ მნიშვნელობას ეფუძნება.[11] მიუხედავად საერთო საფუძვლებისა, ევროპის ქვეყნებში განსხვავდებოდა როგორც ნოტარიუსის ინსტიტუციური პოზიცია და უფლებამოსილებები, ისე მის მიერ შედგენილი დოკუმენტების სამართლებრივი სანდოობის ხარისხი.[12]

7 Malavet, P. A. (1996). *Counsel for the situation: The Latin notary, a historical and comparative model*. Hastings International and Comparative Law Review, 19(3), 391.

8 Morandi, E. (2007). *The role of the notary in real estate conveyancing*. Digital Evidence and Electronic Signature Law Review, 4, 28–33 <https://doi.org/10.14296/DEESLR.V4I0.1795>.

9 *დეკერსი, ე. (2001). სანოტარო საქმე, დეონტოლოგია და სტრუქტურები, ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“,* №3-4, სექტემბერ-დეკემბერი, კუპრავა რ., (თარგ), ზოიძე ო., (რედ), თბ., 10.

10 Malavet, P. A. (1996). *Counsel for the situation: The Latin notary, a historical and comparative model*. Hastings International and Comparative Law Review, 19(3), 401.

11 ნოტარიუსის ისტორიულ ფორმირებასთან დაკავშირებით იხ., Wenckstern, M. (2012). Notary Public. *Max Planck Encyclopedia of European Private Law* <https://max-eup2012.mpipriv.de/index.php/Notary_Public>.

12 Malavet, P. A. (1996). *Counsel for the situation: The Latin notary, a historical and comparative model*. Hastings International and Comparative Law Review, 19(3), 401.

კომპარატივისტული ანალიზისთვის შერჩეულია გერმანიის, საფრანგეთისა და ესპანეთის სამართლებრივი სისტემები, რადგან ამ იურისდიქციებში სანოტარო აქტი განიხილება არა მხოლოდ მაღალი მტკიცებულებითი ძალის მქონე დოკუმენტად, არამედ უშუალოდ აღსრულებად სამართლებრივ ინსტრუმენტადაც. კონტინენტური სამართლის რიგ ქვეყნებში ნოტარიულ აქტებს მინიჭებული აქვთ საღსრულებო ძალა, რაც კრედიტორს სასამართლოს წინასწარი ჩარევის გარეშე მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობას აძლევს.

1.1. ნოტარიატი გერმანიაში და სააღსრულებო ფურცლის ძალმოსილება

გერმანული დოქტრინის მიხედვით, ნოტარიუსი მხარეებს გამოვლენილ ნებასთან დაკავშირებით სამართლებრივ რჩევასაც აძლევს.[13] გერმანიაში, ნოტარიატი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი, თუმცა პროფესიულად დამოუკიდებელი იურიდიული ინსტიტუტის კლასიკურ მაგალითს. ნოტარიუსი მოქმედებს, როგორც საჯარო ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტების ავთენტურობას, მხარეთა უფლებების დაცვას და პრევენციული სამართლის განხორციელებას. გერმანულ სამართლებრივ სისტემაში ნოტარიუსი საჯარო ფუნქციის განმახორციელებელ პირად მიიჩნევა, რომელსაც სუვერენულ ამოცანათა შესრულება აქვს მინდობილი. თუმცა, მოსამართლისგან განსხვავებით, იგი საქმიანობას სახელმწიფო უწყების ფარგლებში არ ახორციელებს; ნოტარიუსი საჯარო ფუნქციებს თავისუფალი პროფესიის ფარგლებში ასრულებს.[14]

გერმანული სისტემა ეფუძნება პრევენციული სამართლის პრინციპს *(präventive Rechtspflege)*, რომლის მიხედვითაც ნოტარიუსის ძირითადი ფუნქციაა სამართლებრივი დავების თავიდან აცილება. ნოტარიუსი ამოწმებს სამართლებრივ გარიგებებს, უზრუნველყოფს მათ კანონიერებას და მხარეთა ინფორმირებულობას. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უძრავი ქონების გარიგებებში,[15] კომპანიების რეგისტრაციაში და საოჯახო სამართალში. ნოტარიუსის მიერ შედგენილი აქტები ხასიათდება მაღალი მტკიცებულებითი ძალით და ხშირად აღსრულების პირდაპირი ძალაც გააჩნიათ,[16] რაც ამცირებს სასამართლო დავებს და ზრდის სამართლებრივი ურთიერთობების ეფექტიანობას. როგორც წესი, ავთენტური დოკუმენტის შედგენა დაკავშირებულია მკაცრ ფორმალურ პროცედურებთან, რომელთა მიზანია მხარეთა არასაკმარისი ინფორმირებულობისა და ნაჩქარევი მოქმედების თავიდან აცილება, აგრეთვე ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომელიც სანდო მტკიცებულება იქნება.[17]

გერმანულ სამართალში ნოტარიუსი უფლებამოსილია, სასამართლო გადაწყვეტილების ეკვივალენტური სააღსრულებო ძალა მიანიჭოს მოთხოვნას, რომელიც ხელშეკრულებით ან მოვალის ცალმხრივი ნების გამოვლენით არის დადგენილი. აღნიშნული მოდელი ეფუძნება სანოტარო აქტის მიმართ მაღალ ნდობასა და ნოტარიული შემოწმების პროცედურულ გარანტიებს.[18] ნოტარიულად დამოწმებუ-

13 კერესელიძე, დ. (2009). *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, თბ., 300.

14 ბოკი, რ. (2020). *გერმანული ნოტარიატის სისტემა.* შედარებითი სამართლის ჟურნალი, №8, 1.

15 Morandi, E. (2007). *The role of the notary in real estate conveyancing*. Digital Evidence and Electronic Signature Law Review, 4, 28–33 <https://doi.org/10.14296/DEESLR.V4I0.1795>.

16 ბოკი, რ. (2020). *გერმანული ნოტარიატის სისტემა.* შედარებითი სამართლის ჟურნალი, №8, 10.

17 Mantovani, M. (2019). Notaries and their debt-collection writs under the Brussels Ia Regulation: A difficult characterisation. *Journal of Private International Law, 15*(2), 393–417 <https://doi.org/10.1080/17441048.2019.1645973>.

18 Bormann, J. (2022), *The German Enforceable Notarial Act in Cross-Border Cases*, *LeXonomica*, Vol. 14, No. 1, 69 <https://doi.org/10.18690/lexonomica.14.1.49-72.2022>.

ლი ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, რაც კრედიტორს მოთხოვნის სწრაფი დაკმაყოფილების შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი დამატებითი სამართლებრივი განხილვის გარეშე გამოიცემა.[19] გერმანიაში, ნოტარიუსის ჩართვა ეფექტურად ამცირებს გარიგების ხარჯებსაც, რადგან მისი ნეიტრალური პოზიცია და ვალდებულება თავიდან აიცილოს ერთი მხარისთვის არასასურველი შედეგები, ამცირებს ორივე მხარისთვის დამატებითი სამართლებრივი წარმომადგენლობის საჭიროებას.[20]

2.2. ნოტარიატი და სააღსრულებო წარმოება საფრანგეთში

საფრანგეთის ნოტარიატი წარმოადგენს ლათინური ტიპის ნოტარიატის კლასიკურ მოდელს, სადაც ნოტარიუსი არის სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი საჯარო პირი, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა პროფესიულ საქმიანობას. ზოგჯერ მათი ფუნქცია აღწერილია როგორც „პრევენციული იურისდიქციის“ განმახორციელებელი. ფრანგული სისტემა ეფუძნება ნოტარიუსის მიერ შედგენილი აქტის *(Acte Authentique)* კონცეფციას, რომელიც წარმოადგენს მაღალი მტკიცებულებითი ძალის მქონე დოკუმენტს და ხშირად აქვს პირდაპირი აღსრულების ძალაც.[21] ეს მექანიზმი ამცირებს სასამართლო დავების საჭიროებას და უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას.

საფრანგეთში ნოტარიუსი მონაწილეობს უძრავი ქონების ნასყიდობებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში, სადაც იგი უზრუნველყოფს გარიგებების სამართლებრივ შესაბამისობას და მხარეთა ინფორმირებულობას. ნოტარიუსი პასუხისმგებელია, რომ მხარეებმა სრულად გააცნობიერონ გარიგების სამართლებრივი შედეგები.[22] ფრანგული სამართლის მიხედვით, ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფართო უფლებამოსილება გააჩნია, თუმცა კანონმდებლობა გარკვეულ გამონაკლისსაც ითვალისწინებს. კერძოდ, საცხოვრებელ სადგომზე უკანონო ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებული დავები მხოლოდ სასამართლოს განსჯადობას მიეკუთვნება.[23] აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა მნიშვნელოვან სოციალურ კონტექსტს ატარებს. შესაბამისად, ასეთ საქმეებზე სასამართლოსთვის უფრო ფართო შეფასებითი და პროცესუალური უფლებამოსილების მინიჭება მხარეთა უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფს.

2.3. ესპანეთის სანოტარო სისტემის გამოცდილება და სააღსრულებო საქმისწარმოების თავისებურება

ლათინური ნოტარიატის ერთ-ერთ კლასიკურ და ყველაზე განვითარებულ მოდელს წარმოადგენს ესპანეთის სანოტარო სისტემა, რომელიც ეფუძნება ნოტარიუსის პროფესიული დამოუკიდებლობისა და საჯარო უფლებამოსილების კომბინაციას, რაც უზრუნველყოფს სანოტარო აქტების მაღალ სამართლებრივ სანდოობას.[24] ესპანეთში ნოტარიუსი არის სახე-

19 Akhalkatsi, E. (2025). *The problem of enforcement of notarial acts (comparative analysis)*. *Journal of Law*, 1, 70 <https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9276>.

20 Knieper, R. (2017). *The economic relevance of notarial authentic instruments*. International Union of Notaries, 11.

21 Smits, J. M. (2020). *Advanced introduction to comparative law*. Edward Elgar Publishing.

22 Martínez-Velencoso, L. M. (2017). The Role of the Notary in the Spanish Legal System. *European Review of Private Law, 25*(4), 679–698 <https://opo.iisj.net/index.php/sortuz/article/view/2497>.

23 Rouchaud, A. M. (1998). *Conclusions – Workshop No. 2: Writs of execution*. In *The execution of court decisions in civil cases*. Council of Europe Publishing, 117.

24 Rivero Silva, S. (2026). *The good (civil law?) notary*. *Sortuz: Oñati Journal of Emergent Socio-Legal*

ლმწიფოს მიერ უფლებამოსილი საჯარო პირი, რომელიც ამავდროულად ასრულებს დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას. ნოტარიუსის ძირითადი ფუნქციაა სამართლებრივი აქტების დამოწმება და მათი სამართლებრივი შესაბამისობის უზრუნველყოფა.[25]

ესპანეთის სანოტარო სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელია ნოტარიული აქტის განსაკუთრებული სამართლებრივი ძალა. ნოტარიუსის მიერ შედგენილი დოკუმენტი ითვლება საჯარო აქტად და მას აქვს მაღალი მტკიცებულებითი მნიშვნელობა სამართლებრივ პროცესებში. ასეთ დოკუმენტებს ხშირად აქვთ პირდაპირი აღსრულების ძალაც, რაც დიდწილად ამარტივებს სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებას და ამცირებს სასამართლო დავების საჭიროებას.[26]

ესპანეთის ნოტარიუსები წამყვან როლს ასრულებენ უძრავი ქონების ბრუნვაში.[27] უძრავი ქონების შეძენისა და გადაცემის პროცესში ნოტარიუსი უზრუნველყოფს გარიგების სამართლებრივ სისწორეს, ამოწმებს მხარეთა უფლებამოსილებებს და უზრუნველყოფს, რომ გარიგება შეესაბამებოდეს კანონმდებლობას.[28] აღნიშნული პროცედურა ქმნის სამართლებრივი უსაფრთხოების მაღალ დონეს და უზრუნველყოფს საკუთრების უფლების ეფექტიან დაცვას.

ნოტარიუსის მიერ გაცემული აქტები, ესპანური სამართლის მიხედვით, წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს. ამასთან, კანონი განსაზღვრავს, რომ აღსრულებადია არა მხოლოდ პირველად გაცემული აქტი (ორიგინალი), არამედ, ასევე, მისი ასლებიც, თუ ისინი გაცემულია ორივე მხარის თანხმობის საფუძველზე, ან თუ სასამართლოს მიერ არის ასლი გაცემული და მითითებულია ის პირი, ვის მიმართაც უნდა განხორციელდეს აღსრულება.[29]

ესპანელი ნოტარიუსის სკეპტიკური დამოკიდებულება ანგლო-საქსური სანოტარო მოდელის მიმართ ძირითადად გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ საერთო სამართლის სისტემა უფრო მოქნილ და ნაკლებად ფორმალიზებულ სამართლებრივ კონტროლს ეფუძნება, მაშინ როდესაც რომანულ-კონტინენტური სამართლის ნოტარიატი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აქტის კანონიერების წინასწარ შემოწმებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.[30]

3. სააღსრულებო ფურცლის გამარტივებული აღსრულებითი ფუნქცია

სანოტარო ფორმით გაფორმებული ხელშეკრულება, ზეპირ ან წერილობით ფორმასთან შედარებით, უფრო მაღალი სამართლებრივი სანდოობით გამოირჩევა,[31] რადგან ნოტარიული დამოწმება გა-

Studies, 16(1), 245–264 <https://doi.org/10.35295/sz.iisl.2497>.

25 Calvo Caravaca, A.-L., Carrascosa González, J. (2020). *Power of attorney authorised by foreign notaries and purchase of property located in Spain*. *Revista de Derecho Internacional Privado*, 5179, 11.

26 Gogoladze, M., Shamatava, I. (2026). The evolution of the Georgian notariat: From the state-controlled Soviet system to professional independence and digital modernization. *European Scientific Journal, 52*, 503.

27 Calvo Caravaca, A.-L., Carrascosa González, J. (2020). *Power of attorney authorised by foreign notaries and purchase of property located in Spain*. *Revista de Derecho Internacional Privado*, 5179, 54–56.

28 Rivero Silva, S., *The Good (Civil Law?) Notary*, *Sortuz: Oñati Journal of Emergent Socio-Legal Studies*, Vol. 16, No. 1, 2026, 248–249 <https://doi.org/10.35295/sz.iisl.2497>.

29 Faba, J. M. (2017). *Sobre la fuerza ejecutiva de la escritura pública y el nuevo sistema de expedición de copias: cuestiones surgidas en la jurisprudencia actual*. *Revista CESCO de Derecho de Consumo*, 20, 74–81.

30 Rivero Silva, S., *The Good (Civil Law?) Notary*, *Sortuz: Oñati Journal of Emergent Socio-Legal Studies*, Vol. 16, No. 1, 2026, 248–249 <https://doi.org/10.35295/sz.iisl.2497>.

31 Dharmawan, N. K. S., Salain, M. S. P. D., Prianatha, I. G. N. B. P. (2025). Harmonization of notary honorarium arrangement related to the notarial deed authority: Toward legal certainty. *Law and World*, 11(1), 22–34 <https://doi.org/10.36475/11.1.2>.

რიგებას განსაკუთრებულ მტკიცებულებით მნიშვნელობას ანიჭებს. ამასთანავე, დოქტრინაში სანოტარო დამოწმების ძირითად ფუნქციებად განიხილება პრევენცია, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან დაცვა და მტკიცებულებითი უზრუნველყოფა.[32] თუ მხარეები ხელშეკრულებაში განსაზღვრავენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ წესს, ვადამოსული ფულადი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე,[33] რომელიც წარმოადგენს აღსრულების დაწყების დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძველს.

ამ რეგულირებით კანონმდებელმა ნოტარიუსს ისეთი კომპეტენცია მიანიჭა, რომელიც კრედიტორს მოთხოვნის სასამართლოს გარეშე, გამარტივებული წესით დაკმაყოფილების შესაძლებლობას აძლევს და, ამასთანავე, სასამართლო სისტემის განტვირთვას უწყობს ხელს. მსგავსი მოდელი ნოტარიუსის ფუნქციას მხოლოდ სანოტარო დამოწმებით აღარ ზღუდავს და მას პრევენციული მართლმსაჯულების ინსტრუმენტადაც წარმოაჩენს.[34]

სააღსრულებო ფურცლის მიღება შედარებით სწრაფ და ხარჯთეფექტიან პროცედურას წარმოადგენს, რაც მხარეებს დამატებითი ფინანსური ტვირთის შემცირების შესაძლებლობას აძლევს.[35] ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის თავისებურება ისაა, რომ იგი კრედიტორს მოთხოვნის იძულებითი წესით დაკმაყოფილების შესაძლებლობას აძლევს, მათ შორის მოვალის ქონებაზე აღსრულების მიქცევის გზით.[36] ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი ნოტარიატის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სააღსრულებო დოკუმენტს წარმოადგენს და სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარება.[37] შესაბამისად, სამართლებრივი რეგულირება აღიარებს სანოტარო ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებადობას.

2010 წლის 7 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ქართულ სამართალში ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭა, რის შედეგადაც ნოტარიუსის მიერ გაცემულ დოკუმენტს აღსრულებისთვის სავალდებულო იურიდიული ძალა მიეცა.[38] აღნიშნული მექანიზმი მხარეთათვის ფინანსურ ბარიერებს არ ქმნის,[39] რაც პროცესში მონაწილე პირთა ინტერესების შედარებით დაბალანსებულ დაცვაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლის მიდგომა ორიენტირებულია როგორც კრედიტორის ინტერესების ეფექტიან უზრუნველყოფაზე, ისე პროცესუალური თანასწორობის პრინციპის დაცვაზე.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია გასცეს სააღსრულებო ფურცელი ფულადი თანხის გადახდევინების, ვადამოსული მოთხო-

32 ლაფაჩი, ე. (2016). *უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე*, დის., თბ., 160.

33 სუხიტაშვილი, დ. (2012). *სანოტარო სამართალი*, თბ., 308.

34 შეად. ხარიტონაშვილი, ნ. (2021). *სანოტარო სამართალი*, თბ., 31.

35 აღსრულების პროცესის ხარჯთეფექტურობაზე იხ. უიტდეჰააგი, ი., ქურთაული, ს. (2013). *საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა. ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში*, თბ., 130.

36 გოთუა, ლ. (2009). *უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება*, დის., თბ., 14.

37 მახათაძე, ნ. (2021). *ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები*. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(71), თბ., 58–72.

38 შამათავა, ი. (2024). *მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში*, მონოგრაფიული ნაშრომი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ და კავკასიის უნივერსიტეტი, 128.

39 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილება „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30.12.2011.

ვნის შესრულების, ქონებაზე უფლების გადაცემისა და დაგირავებულ ან იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე აღსრულების მიქცევის მოთხოვნის საფუძველზე.[40] ნორმა ცხადყოფს, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი გამოიყენება როგორც ფულადი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ისე უზრუნველყოფის საგანთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაციის მიზნით.[41]

ქონებაზე უფლების გადაცემა, შესაბამისი სახელშეკრულებო დათქმის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება განიმარტოს კრედიტორის შესაძლებლობად, პირდაპირ მოიპოვოს საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე. შესაბამისად, თუ მხარეები შეთანხმდებიან უზრუნველყოფის საგანზე საკუთრების უფლების ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გადაცემაზე, მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში დასაშვებია ქონების პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა ვალდებულების შესრულებისა და ურთიერთვალდებულებათა გაქვითვის სანაცვლოდ.[42]

3.1. სააღსრულებო ფურცლის გაცემის პროცედურული და სამართლებრივი წინაპირობები

საქართველოს კანონმდებლობა სააღსრულებო ფურცლის მიმართ ადგენს როგორც ზოგად, ისე სპეციალურ სავალდებულო რეკვიზიტებს. კანონის თანახმად, სააღსრულებო ფურცელში უნდა მიეთითოს მისი გამცემი ორგანო, საქმე, რომლის საფუძველზეც იგი გაიცა, გადაწყვეტილების გამოტანისა და გაცემის თარიღები, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, აგრეთვე კრედიტორისა და მოვალის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები.[43]

კანონმდებლობა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლისთვის დამატებით სპეციალურ რეკვიზიტებსაც განსაზღვრავს. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნოტარიუსისა და შესაბამისი სანოტარო ბიუროს შესახებ, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის, შესრულების ვადის, აღსასრულებელი ვალდებულების შინაარსისა და მოცულობის, აგრეთვე სანოტარო მოქმედებათა რეესტრში რეგისტრაციის მონაცემების მითითებით.[44]

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 40-ე მუხლი განსაზღვრავს სანოტარო დოკუმენტის საფუძველზე აღსრულების სამართლებრივ და პროცედურულ საფუძვლებს. სააღსრულებო ფურცლის გაცემა ხორციელდება კრედიტორის ან მისი უფლებამონაცვლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომელსაც შესაბამისი სანოტარო დოკუმენტი უნდა ერთოდეს.[45] ამასთან, მოთხოვნა არ უნდა იყოს დამოკიდებული კრედიტორის მიერ საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე, ან ასეთი ვალდებულება უკვე შესრულებული უნდა იყოს.

ნორმის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სანოტარო დოკუმენტს ენიჭება განსაკუთრებული მტკიცებითი და აღმასრულებელი ძალა, რაც კრედიტორს სასამართლო განხილვის გარეშე აძლევს იძულებითი აღსრულების დაწყების შესაძლებლობას. ევროპული საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის კომისია (შემდეგში – CEPEJ) აღსრულებას მა-

40 საქართველოს კანონი, „ნოტარიატის შესახებ“, მუხ. 38, პუნქტი მე-5, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, No 46, 22.12.2009.

41 ფულად-სასესხო ვალდებულებებთან მიმართებით ვრცლად იხ., შამათავა, ი. (2024). *მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში*, მონოგრაფიული ნაშრომი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ და კავკასიის უნივერსიტეტი, 121-143.

42 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის უწყებანი, №31, 24.07.1997. [მუხლი 300, პუნქტი 3].

43 საქართველოს კანონი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 13(20), 01/05/1999, მუხლი 21.

44 იქვე, მუხლი 21, პუნქტი 3^1.

45 საქართველოს კანონი, „ნოტარიატის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 46, 22/12/2009, მუხ. 42, 04/12/2009, მუხლი 40.

რთლმსაჯულების პროცესის განუყოფელ ნაწილად განიხილავს და მიუთითებს, რომ აღსრულების არაეფექტიანობა სამართლებრივი დაცვის უფლებას ფორმალურ ხასიათს ანიჭებს.[46]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა თავისთავად არ გამორიცხავს სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას და არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რამდენადაც მოვალეს უნარჩუნდება როგორც სანოტარო აქტის, ისე სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების შესაძლებლობა. ამასთანავე, სასამართლომ ხაზი გაუსვა ნოტარიუსის პრევენციულ ფუნქციას და მიუთითა, რომ სანოტარო წესით დადასტურებული გარიგება სამართლებრივი სანდოობის უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება.[47]

პროცესუალურ გარანტიებთან ერთად, კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესაძლებლობას მისი დაკარგვის შემთხვევაში,[48] რაც ემსახურება აღსრულების პროცესის უწყვეტობისა და სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფას, რაც თანხვედრაშია ევროპული საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის კომისიის (CEPEJ) პოზიციასთან,[49] რომლის მიხედვითაც აღსრულების ოპერატიულობა და ეფექტიანობა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

3.2. სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ შეჩერება

სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივი შეჩერება წარმოადგენს აღსრულების პროცესში მხარეთა ინტერესების დაბალანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, განსაზღვრულ შემთხვევებში, აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას ითვალისწინებს,[50] რაც პრაქტიკაში შესაძლოა შეეხოს მოთხოვნის მხოლოდ კონკრეტულ ნაწილსაც. ასეთ ვითარებაში აღსრულების სრულად შეჩერება შესაძლოა არაპროპორციულ ჩარევად შეფასდეს კრედიტორის უფლებაში, ხოლო ნაწილობრივი შეჩერება უზრუნველყოფს როგორც კრედიტორის ინტერესების დაცვას, ისე მოვალის საპროცესო გარანტიების შენარჩუნებას.

აღსრულების შეჩერების ინსტიტუტი მიზნად ისახავს მხარეთა ინტერესების დროებით დაბალანსებას, თუმცა იგი არ უნდა იქცეს კრედიტორის მოთხოვნის გაუმართლებელი შეფერხების საშუალებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც აღინიშნა, რომ სააღსრულებო წარმოების მრავალჯერადი შეჩერება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოვალე ვერ ასრულებს განაწილვადების პირობებს, საფრთხეს უქმნის აღსრულების ეფექტიანობას და კრედიტორის უფლებების რეალურ განხორციელებას.[51]

აღსანიშნავია, რომ CEPEJ აღსრულების პროცესში პროპორციულობისა და ეფექტიანობის პრინციპების დაცვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.[52] აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც სადავოა

46 CEPEJ, *Guidelines for a Better Implementation of the Existing Council of Europe's Recommendation on Enforcement*, CEPEJ(2009)11Rev2, para. 1 <https://rm.coe.int/16807473cd>.

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/22/930 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანა ჯალაღონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

48 საქართველოს კანონი, „ნოტარიატის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 46, 22/12/2009, მუხ. 42, 04/12/2009, მუხლი 40, პუნქტი 4.

49 CEPEJ, *Guidelines for a Better Implementation of the Existing Council of Europe's Recommendation on Enforcement*, CEPEJ(2009)11Rev2, para. 1 <https://rm.coe.int/16807473cd>.

50 საქართველოს კანონი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 13(20), 01/05/1999, მუხლი 36.

51 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №ბს-377(კ-23), 11 ოქტომბერი, 2023.

52 CEPEJ, *Guidelines for a Better Implementation of the Existing Council of Europe's Recommendation on Enforcement*, CEPEJ(2009)11Rev2, para. 33-35 <https://rm.coe.int/16807473cd>.

მოთხოვნის მხოლოდ ნაწილი და სრული აღსრულების შეჩერება აღსრულების მიზნებს სცდება.

3.3. ნოტარიუსი, სანივთო უფლებათა რეგისტრაცია და აღსრულება

ნოტარიუსის საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება სანივთო უფლებათა რეგისტრაციისა და აღსრულების სამართლებრივ სისტემას. სანოტარო წესით დადასტურებული გარიგებები და სანივთო უფლებათა რეგისტრაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აღნიშნული განსაკუთრებით ვლინდება იპოთეკურ ურთიერთობებში, სადაც რეგისტრაციის სისწორე და სანოტარო დოკუმენტის სანდოობა კრედიტორის უფლებების ეფექტიანი აღსრულების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

კერძო სამართლის სისტემამ ნოტარიუსის როლი ისე ჩამოაყალიბა, რომ იგი რაციონალურად და შესაბამისად, ხარჯისა და სარგებლის ანალიზის თვალსაზრისით, ეფექტიანად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებების მაღალ სამართლებრივ განსაზღვრულობას და, შესაბამისად, უძრავი ქონების გარიგებების უსაფრთხოებას, რაც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ არსებით წინაპირობად მიიჩნევა. ამასთანავე, აღნიშნული სისტემა წარმოშობს მრავალ დადებით ეფექტს როგორც ეკონომიკური სისტემისთვის, ისე მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებისათვის.[53]

სანივთო უფლებათა რეგისტრაციისას კანონიერების პრინციპის ეფექტიანი რეალიზაცია მოითხოვს გარიგების წინასწარ სამართლებრივ კონტროლს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უძრავი ქონების ბრუნვაში. სანოტარო ფორმა ზრდის როგორც გარიგების, ისე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების სანდოობას, ვინაიდან ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების კანონიერებას, მხარეთა ნების ნამდვილობასა და ქმედუნარიანობას.[54] ამასთანავე, ნოტარიუსი ამცირებს ინფორმაციული ასიმეტრიით გამოწვეულ რისკებს და უზრუნველყოფს მხარეთა, განსაკუთრებით კი სუსტი მხარის ინტერესების დაცვას. ნოტარიუსის ჩართულობა მიზნად ისახავს ინფორმაციული ასიმეტრიის აღმოფხვრასა და გარიგების სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.[55] აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა, მიუხედავად მათი პრაქტიკული მნიშვნელობისა, ერთდროულად წარმოშობს პროცესუალური დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის საკითხსაც.

3.4. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ვადამოსული ფულადი მოთხოვნის აღსრულება იწყება აღსრულების ეროვნულ ბიუროში სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, რაც აყენებს მისი შესაბამისობის საკითხს სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. თუმცა, მექანიზმი თავისთავად არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, ვინაიდან იგი არ გამორიცხავს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. მოვალეს რჩება უფლება, გაასაჩივროს სააღსრულებო მოქმედებები და მოითხოვოს სასამართლო კონტროლი, რაც

53 Morandi, E. (2007). *The role of the notary in real estate conveyancing. Digital Evidence and Electronic Signature Law Review*, 4, 33 <https://doi.org/10.14296/DEESLR.V4I0.1795>.

54 ვრცლად იხ., ლაფაჩი, ე. (2016). *უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე*, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 158–159.

55 Morandi, E. (2007). *The role of the notary in real estate conveyancing. Digital Evidence and Electronic Signature Law Review*, 4, 31–32 <https://doi.org/10.14296/DEESLR.V4I0.1795>

წარმოადგენს პროცესუალური დაცვის მინიმალურ გარანტიას.

საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლომ მიუთითა, რომ ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა თავისთავად არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რამდენადაც მოვალეს უნარჩუნდება როგორც სანოტარო აქტის, ისე თავად სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების შესაძლებლობა. ამასთანავე, სასამართლომ ხაზი გაუსვა ნოტარიუსის პრევენციულ ფუნქციას და აღნიშნა, რომ სანოტარო წესით დადასტურებული გარიგება სამართლებრივი სანდოობის უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება.[56]

მოქმედი რეგულირება, მიუხედავად ამისა, არ უზრუნველყოფს სასამართლო კონტროლის მექანიზმების საკმარის სიცხადესა და ერთგვაროვან პრაქტიკას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *Tchitchinadze v. Georgia* აღნიშნა, რომ საბოლოო და აღსასრულებელი გადაწყვეტილების გაუქმება გავლენას ახდენს როგორც სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპზე, ისე სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაზე. სასამართლოს განმარტებით, საბოლოო აქტის გადახედვა დასაშვებია მხოლოდ არსებითი და დამაჯერებელი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება სამართლებრივი სტაბილურობისა და აღსრულების ეფექტიანობის პრინციპებს.[57] შედეგად, არსებობს რისკი, რომ აღსრულება განხორციელდეს იმ პირობებში, როდესაც მოვალის დაცვის საშუალებები ფაქტობრივად რეალიზდება უკვე მიმდინარე აღსრულების ეტაპზე, რაც ამცირებს მათი ეფექტიანობის ხარისხს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე №ბს-377(კ-23) იმსჯელა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მიმდინარე აღსრულების შეჩერებისა და პროცესუალური გარანტიების ფარგლებზე. სასამართლომ მიუთითა, რომ სააღსრულებო წარმოების მრავალჯერადი შეჩერება არ უნდა იქცეს კრედიტორის მოთხოვნის გაუმართლებელი შეფერხების საშუალებად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს უკვე არაერთხელ ჰქონდა ვალდებულების შესრულებისა და საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ამასთანავე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი სასამართლო კონტროლისგან იზოლირებულ აქტს არ წარმოადგენს, რაც გამოიხატა იმაშიც, რომ სასამართლომ თავად შეიტანა ცვლილებები სააღსრულებო ფურცელში და შეამცირა როგორც ძირითადი მოთხოვნის, ისე პირგასამტეხლოს მოცულობა.[58]

სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეული უფლებრივი კომპონენტის როგორც ფორმალური, ისე მატერიალური შინაარსით, საკმარისი პროცედურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა.[59] შესაბამისად, პრობლემას არ წარმოადგენს სანოტარო სააღსრულებო მექანიზმის არსებობა, არამედ მისი გამოყენებისას პროცესუალური გარანტიების არასაკმარისი განსაზღვრულობა, რაც საჭიროებს ნორმატიულ დაზუსტებას და პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფას.

56 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/22/930 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანა ჯალაღონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

57 Judgment (Merits) of the European Court of Human Rights in the case of Tchitchinadze v. Georgia, Application No. 18156/05, May 27, 2010.

58 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №ბს-377(კ-23), 11 ოქტომბერი, 2023. ასევე იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/17482-17.

59 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59.

4. უცხო ქვეყანაში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება საქართველოში

მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოში დასაშვებია უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული აღსრულების ძალის მქონე აქტების ცნობა და აღსრულება.[60] მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სასამართლო პრაქტიკა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, რაც პრაქტიკაში სამართლებრივი პროგნოზირებადობის პრობლემას წარმოშობს.[61] სავარაუდოა, რომ ასეთი აქტების ცნობა და აღსრულება სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულებისთვის დადგენილი წესის ანალოგიურად განხორციელდება, კანონის ანალოგიის გამოყენების საფუძველზე.

ევროკავშირის სამართალი აღიარებს ავთენტური დოკუმენტების, მათ შორის სანოტარო აქტების, ტრანსსასაზღვრო აღსრულების შესაძლებლობას. Brussels Ia Regulation-ის 58-ე მუხლის მიხედვით, წარმოშობის სახელმწიფოში აღსრულებადი ავთენტური დოკუმენტი სხვა წევრ სახელმწიფოებშიც აღსრულებადია დამატებითი აღსრულებადად ცნობის პროცედურის გარეშე.[62]

საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც თანამედროვე კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სულ უფრო მეტად ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს და მხარეთა ეკონომიკური ინტერესები ხშირად ერთზე მეტ იურისდიქციას უკავშირდება. ასეთ ვითარებაში უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო აქტის ეფექტიანი აღიარებისა და აღსრულების შესაძლებლობა პირდაპირ უკავშირდება როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, ისე კრედიტორის უფლებების ეფექტიან დაცვას.[63]

სპეციალური საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა ქმნის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრობლემას, რადგან მოქმედი კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს არც შესაბამის პროცედურულ სტანდარტებს და არც სასამართლო კონტროლის ფარგლებს. აღნიშნული კი პრაქტიკაში განსხვავებული მიდგომების ჩამოყალიბების რისკს ზრდის და საბოლოოდ შესაძლოა გავლენა მოახდინოს როგორც აღსრულების ეფექტიანობაზე, ისე ნოტარიუსის ინსტიტუტის მიმართ სამართლებრივ ნდობაზე.[64]

დასკვნა

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი თანამედროვე კერძო სამართალში წარმოადგენს მოთხოვნის გამარტივებული აღსრულების ეფექტიან მექანიზმს. სანოტარო აქტის მაღალი მტკიცებულებითი და სააღსრულებო ძალა ეფუძნება ნოტარიუსის ინსტიტუციურ ნეიტრალობას, სამართლებრივი კონტროლის ფუნქციასა და მხარეთა ინტერესების დაბალანსების ვალდებულებას, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობასა და სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებას.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულმა ქართულმა და უცხოურმა სამართლებრივმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სანოტარო

60 Convention on Legal Assistance and Legal Relations in Civil, Family and Criminal Matters (Minsk Convention), 22 January 1993, Article 51(a).

61 Akhalkatsi, E. (2025). *The problem of enforcement of notarial acts: Comparative analysis*. *Journal of Law*, №1 <https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9276>.

62 Regulation (EU) No. 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters (Brussels Ia Regulation), Art. 58. Cited., Mantovani, M. (2019). Notaries and their debt-collection writs under the Brussels Ia Regulation: A difficult characterisation. *Journal of Private International Law, 15*(2), 393–417 <https://doi.org/10.1080/17441048.2019.1645973>.

63 CEPEJ, *Guidelines for a Better Implementation of the Existing Council of Europe's Recommendation on Enforcement*, CEPEJ(2009)11REV2, Strasbourg, 17 December 2009, paras. 6–7 <https://rm.coe.int/16807473cd>.

64 Ibid, 201–203.

წესით რეგისტრირებული ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი ხელს უწყობს კრედიტორის მოთხოვნის სწრაფ და ეფექტიან დაკმაყოფილებას, აღსრულების პროცესის გამარტივებასა და სასამართლო სისტემის განტვირთვას. ამასთანავე, გერმანიის, საფრანგეთისა და ესპანეთის სამართლებრივი მოდელები ადასტურებს, რომ ნოტარიუსის ინსტიტუტი მნიშვნელოვან პრევენციულ და სააღსრულებო ფუნქციას ასრულებს.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი თავისთავად არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ვინაიდან მხარეებს უნარჩუნდებათ სასამართლო კონტროლისა და სააღსრულებო მოქმედებების გასაჩივრების შესაძლებლობა. სწორედ სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა წარმოადგენს იმ ძირითად პროცესუალურ გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფს გამარტივებული აღსრულების მექანიზმსა და მოვალის დაცვის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას.

შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ როგორც მოთხოვნის გამარტივებული აღსრულების ინსტრუმენტი, არამედ როგორც მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს კრედიტორის ინტერესების ეფექტიან დაცვას, სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობასა და პრევენციული მართლმსაჯულების განხორციელებას. მისი ეფექტიანი ფუნქციონირება კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მკაფიო და ერთგვაროვან სამართლებრივ რეგულირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამეცნიერო ლიტერატურა:

ბოკი რ. (2020). *გერმანული ნოტარიატის სისტემა*. შედარებითი სამართლის ჟურნალი №8, 1, 10.

გოთუა, ლ. (2009). *უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება*, დის., თბ., 14.

დეკერსი ე. (2001). *სანოტარო საქმე, დეონტოლოგია და სტრუქტურები*, ჟურნ., „საქართველოს ნოტარიატი“, №3-4, სექტემბერ-დეკემბერი, კუპრავა რ., (თარგ), ზოიძე ო., (რედ), თბ., 10.

კერესელიძე, დ. (2009). *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, თბ., 300.

ლაფაჩი, ე. (2016). *უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებათა რეგისტრაციის გავლენა საკუთრების უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე*, დის., თბ., 158-160.

მახათაძე, ნ. (2021). *ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები*. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(71), თბ., 58–72.

სუხიტაშვილი, დ. (2012). *სანოტარო სამართალი*, თბ., 308.

უიტდეჰააგი, ი., ქურთაული, ს. (2013). *საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა. ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში*, თბ., 130.

ქურდაძე, შ., ქურდაძე, გ., ხუნაშვილი, ნ., ჭყონია, ზ. (2018). *„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი*, ნაწილი I (მუხლები 1–48), თბ., 7.

შამათავა, ი. (2024). *მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში*, მონოგრაფიული ნაშრომი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ და კავკასიის უნივერსიტეტი, 121-143.

შამათავა, ი. (2024). სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია, როგორც ეფექტური გადახდევინებისა და ვადამოსულ მოთხოვნათა გამარტივებული წესით აღსრულების მექანიზმი. *თანამედროვე სამართლის ჟურნალი / Contemporary Law Journal*, 1, 14–28.

ხარიტონაშვილი, ნ. (2021). *სანოტარო სამართალი*, თბ., 31.

Akhalkatsi, E. (2025). *The problem of enforcement of notarial acts (comparative analysis). Journal of Law*, 1, 58-72 <https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9276>.

Bormann, J., *The German Enforceable Notarial Act in Cross-Border Cases*, *LeXonomica*, Vol. 14, No. 1, 2022, 69 <https://doi.org/10.18690/lexonomica.14.1.49-72.2022>.

Calvo Caravaca, A.-L., Carrascosa González, J. (2020). *Power of attorney authorised by foreign notaries and purchase of property located in Spain. Revista de Derecho Internacional Privado*, 5179, 11, 54–56.

Dharmawan, N. K. S., Salain, M. S. P. D., Prianatha, I. G. N. B. P. (2025). Harmonization of notary honorarium arrangement related to the notarial deed authority: Toward legal certainty. *Law and World*, 11(1), 22–34 <https://doi.org/10.36475/11.1.2>.

Faba, J. M. (2017). *Sobre la fuerza ejecutiva de la escritura pública y el nuevo sistema de expedición de copias: cuestiones surgidas en la jurisprudencia actual. Revista CESCO de Derecho de Consumo*, 20, 74–81.

Gogoladze, M., Shamatava, I. (2026). The evolution of the Georgian notariat: From the state-controlled Soviet system to professional independence and digital modernization. *European Scientific Journal, 52*, 495–514.

Knieper, R. (2017). *The economic relevance of notarial authentic instruments*. International Union of Notaries, 11.

Malavet, P. A. (1996). *Counsel for the situation: The Latin notary, a historical and comparative model*. Hastings International and Comparative Law Review, 19(3), 391, 401.

Mantovani, M. (2019). Notaries and their debt-collection writs under the Brussels Ia Regulation: A difficult characterisation. *Journal of Private International Law, 15*(2), 393–417. https://doi.org/10.1080/17441048.2019.1645973>.

Martínez-Velencoso, L. M. (2017). The Role of the Notary in the Spanish Legal System. *European Review of Private Law, 25*(4), 679–698 <https://opo.iisj.net/index.php/sortuz/article/view/2497>.

Morandi, E. (2007). *The role of the notary in real estate conveyancing*. Digital Evidence and Electronic Signature Law Review, 4, 28–33 <https://doi.org/10.14296/DEESLR.V4I0.1795>.

Plamesti, M. R., Abustan, A., Miskiah, S. (2025). Strength of proof of notarial deeds in an agreement. In *Proceedings of the 2nd International Conference Changing of Business Law (ICOCLB 2024)* (p. 256). Atlantis Press <https://doi.org/10.2991/978-2-38476-356-6_30>.

Rivero Silva, S. (2026). *The good (civil law?) notary. Sortuz: Oñati Journal of Emergent Socio-Legal Studies, 16*(1), 245–264 <https://doi.org/10.35295/sz.iisl.2497>.

Rouchaud, A. M. (1998). *Conclusions – Workshop No. 2: Writs of execution*. In *The execution of court decisions in civil cases*. Council of Europe Publishing, 117.

Smits, J. M. (2020). *Advanced introduction to comparative law*. Edward Elgar Publishing.

Taliashvili, T., Shamatava, I., *Recent Evolution of Intellectual Property Enforcement in Georgia*., *TalTech Journal of European Studies*, 10(2), 2020, 43 <https://doi.org/10.1515/bjes-2020-0014>.

Wenckstern, M. (2012). Notary Public. *Max Planck Encyclopedia of European Private Law* <https://max-eup2012.mpipriv.de/index.php/Notary_Public>.

ნორმატიული აქტები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის უწყებანი, №31, 24/07/1997, 26/06/1997.

საქართველოს კანონი, „ნოტარიატის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 46, 22/12/2009, 04/12/2009.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, სსმ, №13(20), 01/05/1999, 16/04/1999.

საქართველოს მთავრობის №507 დადგენილება „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 29.12.2011, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30.12.2011.

CEPEJ, *Guidelines for a Better Implementation of the Existing Council of Europe's Recommendation on Enforcement*, CEPEJ(2009)11Rev2 <https://rm.coe.int/16807473cd>.

Convention on Legal Assistance and Legal Relations in Civil, Family and Criminal Matters (Minsk Convention), 22 January 1993.

Regulation (EU) No. 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters (Brussels Ia Regulation).

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №(13), 19/11/2010 <https://rm.coe.int/-ccje-13-2010-/168074824c>.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

Judgment (Merits) of the European Court of Human Rights in the case of Tchitchinadze v. Georgia, Application No. 18156/05, May 27, 2010.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/22/930 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანა ჯალაღონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №ბს-377(კ-23), 11 ოქტომბერი, 2023.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/17482-17.